> **საქართველოს კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში.**
>
> *ტომი IV* (რუსულ ენაზე)
>
> გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“. 1980 წ.

საქართველოს კომპარტიის მაფიანე

მთ განაპირობეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წარმატებანი რესპუბლიკაში პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების დამკვიდრების, ანტისაზოგადოებრივი მოვლენათა დაძლევისა და ეკონომიკის და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლაში. ამას ადასტურებს კრებულში გამოქვეყნებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისეთი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები, როგორიცაა საქართველოს სსრ მეცნიერების აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ და სხვა დოკუმენტები.

1978 წლის შემდგომი პერიოდი საქართველოს კომპარტიისათვის იყო მისი რიგების შემდგომი განმტკიცების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების — მეცხრე და მეათე ხუთწლედების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში მთავარი მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ძალის — ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის ზრდის წლები. 70-იან წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამუდმებით ეძიებდა ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, ამკვიდრებდა მათ პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ამის შესახებ შესანიშნავად თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ქ. უ. ჩერნენკომ თავის წიგნში „პარტიული და სახელმწიფო მუშაობის საკითხები“.

კრებულში გამოქვეყნებული დოკუმენტები მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს, კადრების აღზრდის სკოლის მნიშვნელობა.

1972-1980 წლებში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 35-ზე მეტი პლენუმი, რომლებზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის ყველაზე აქტუალური საკითხები. დოკუმენტების კრებულში გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები, რომლებიც ეხება ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების დახვეწას, კომუნისტური აღზრდის საკითხებს, ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ამოცანებს, ინტელიგენციასთან მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ამაღლებული იდეურ-მხატვრული დონის ამოცანებს, ფიზიკური კულტურის განვითარების ამოცანებს, ქალთა მოძრაობის ამოცანებს, ათეისტური აღზრდის საკითხებს, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

ბევრ დოკუმენტში ასახულია საქართველოს კომპარტიის საქმიანობა კრიტიკისა და თვითკრიტიკის აღორძინებისათვის. კრიტიკა და თვითკრიტიკა მტკიცედ დამკვიდრდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

მთელი რიგი გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები მკაფიოდ გვიჩვენებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაყოფიერ შემოქმედებით შედგომი გაღრმავებისა და განმტკიცებისადმი. პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოექცა მოსახლეობის, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ს. ი. ბრეჟნევმა საქართველოს კომპარტიის მუშაობას ამ მიმართულებით მაღალი შეფასება მისცა. მან სთქვა: „დღეს შეგვიძლია ქმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ აქედან სწორი დასკვნებია გამოტანილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობა უფრო ინიციატივიანად და ფართოდ წარმართეს, ბოლო ელება ნაციონალიზმის და შოვინიზმის ცალკეულ გამოვლინებებს, ისტორიულ მოვლენათა შეფასებისადმი არაკლასობრივ მიდგომას, კეთხურობის გამოვლინების ფაქტებს, პატრიარქალობის ხოტბის ცდებს. ყოველივე ამას ღრმა გაგებით მოეკიდნენ და მხარი დაუჭირეს მშრომელებმა და მან დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შემდგომ განმტკიცებაზე“.

კრებულში შესული დოკუმენტები, რომლებიც შეეხება აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, სხვა რეგიონების პარტიული ორგანიზაციების მუშაობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებები, დადგენილებები, რომლებიც 1972-1980 წლებში მიიღო ცენტრალურმა კომიტეტმა, შეიცავს ძმობისა და თანასწორობის საფუძველზე ეროვნული ურთიერთობის შემდგომი განვითარების, ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცების, ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გამოვლინების აღმოფხვრის კომპლექსურ პროგრამას.

საქართველოს კომპარტიის ყურადღების ცენტრშია აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხები.

70-იან წლებში განხორციელდა ღონისძიებანი საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისა და აქტიურ შრომითს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩაბმისათვის. დოკუმენტების კრებულში გამოქვეყნებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების, ბიუროსა და სამდივნოს სხდომების 1972-1980 წლების უმნიშვნელოვანესი დადგენილებები.

დოკუმენტების კრებული დიდ დახმარებას გაუწევს მეცნიერებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირულ, პროფკავშირულ მუშაკებს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს.

ვახტანგ ძარუმიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ფორუმი გაიხსნა

დელი. აქ დაიწყო მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ამ დიდმნიშვნელოვან ფორუმში მონაწილეობენ დაახლოებით 140 სახელმწიფოს, მოძრაობისა და საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგატები, მეთვალყურეები და სტუმრები.

თათბირის მონაწილეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას მიუმხრობლობის მოძრაობის წარმოშობის 20 წლისთავის გამო.

თათბირი გახსნა კუბის — მიუმხრობელი ქვეყნების საკოორდინაციო ბიუროს თავმჯდომარემ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ისიდორო მალმიერკამ.

დაიწყო გამოძიება

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროკურატურაში

ვარშავა, როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პროკურატურის ორგანოები აწარმოებენ გამოძიებას იმ ჯგუფის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო, რომელიც მოქმედებს საზოგადოებრივი თავდაცვის კომიტეტის — კორის სახელწოდებით.

არსებული მონაცემების მიხედვით აღნიშნულია ცნობაში, ამ ჯგუფის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა მიმართულია სახალხო პოლონეთის კონსტიტუციური წყობილებისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოკავშირეთა წინააღმდეგ.

გამოძიების დროს შეკრებილი მონაცემები ცხადყოფენ, რომ ეს ორგანიზაცია ძირს უთხრის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წყობილების საფუძვლებს, ისწრაფვის გამოიწვიოს საზოგადოებრივი უწესრიგობა, აგრეთვე დამღუპველ გავლენას ახდენს პოლონეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ცნობაში ხაზგასმულია, რომ კორს მხარს უჭერენ საზღვარგარეთის პოლიტიკური დივერსიების ცენტრები, რომლებიც ამ დაჯგუფებას აწვდიან ტექნიკურ საშუალებებსა და ფინანსურ სახსრებს. ისინი აგრეთვე ეხმარებიან ამ ორგანიზაციას ანტისოციალისტური პროპაგანდის დარგში, აღნიშნავს პოლონეთის პრესის სააგენტო.

ვოწოდება მთავრობებისადმი

დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის

ვენა. აქ დამთავრდა განიარაღებისა და უშიშროების საერთაშორისო კომისიის ორი დღის სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნების, მათ შორის სსრ კავშირის, პოლონეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები და მეცნიერები. კომისიაში საბჭოთა კავშირს წარმომადგენლობდა აკადემიკოსი გ. ა. არბატოვი. სხდომის მონაწილეებმა განიხილეს განიარაღების ყველაზე აქტუალური პრობლემები — სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შეზღუდვა და ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირება.

სხდომის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების საკითხებზე გამართული მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ. ამ საკითხებზე ინფორმაცია გააკეთეს მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაციათა მეთაურებმა. დისკუსიის დროს სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოხატეს დაინტერესება ვენის მოლაპარაკებაზე სსრკ-ის ფრონ კონკრეტული შედეგების მიღწევის გამო.

სხდომაზე მიიღეს დოკუმენტი „სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პროცესი მსოფლიო მნიშვნელობისაა“, რომელიც შეიცავს მოწოდებას მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი ყოველმხრივ შეუწყონ ხელი გამალებული ბირთვული შეიარაღების თავიდან აცილების კონკრეტულ ღონისძიებათა მიღებას.

ფოტოობიექტივი ამხილებს

გაუქმდეს სამხედრო ბაზები!

„გაუქმდეს ამერიკის სამხედრო ბაზები ინდოეთის ოკეანის რაიონში“, ინდოეთის ოკეანე მშვიდობის ზონად უნდა იქცეს!“ — ასეთი ლოზუნგებით დელში გაიმართა ინდოეთის საზოგადოებრიობის საპროტესტო დემონსტრაცია აზიაში შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის გაძლიერების წინააღმდეგ. მანიფესტანტებმა, რომლებმაც ამერიკის საელჩოს შენობის წინ ჩაიარეს, მოითხოვეს აგრეთვე, რომ ვაშინგტონმა შეწყვიტოს იარაღის მიწოდება პაკისტანისათვის.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი.

აპ-საკრედისის ფოტო.

პანცლერის ინტერვიუ

ბონი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი დასავლეთ გერმანიის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში შეეხო იმ მოლაპარაკებებს შედეგებს, რომელსაც იგი პარიზში აწარმოებდა საფრანგეთის პრეზიდენტთან ვ. ჟისკარ დესტენთან.

ჰ. შმიდტმა კვლავ აღნიშნა სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობაზე და ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საფრანგეთი მხარს უჭერენ „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის სტაბილიზაციას წონასწორობის ბაზაზე“. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ვინმე ეცადოს უპირატესობის მიღწევას, განაცხადა დასავლეთ გერმანიის მთავრობის მეთაურმა. სავსებით ცხადია, აღნიშნა მან, რომ ამჟამად დასავლეთის მხარეს არა აქვს უპირატესობის მიღწევის რაიმე შანსი.

ჰ. შმიდტმა აგრეთვე განაცხადა, რომ „საგარეო-პოლიტიკური და სტრატეგიული აზროვნების“ ამ გეზს ბონი და პარიზი ერთობლივად ახორციელებდნენ უკანასკნელ წლებში.

წერილობით ამ განცხადებებისა ცნობილია, რომ კანცლერი ჰ. შმიდტი იყო ერთ-ერთი ინიციატორი ამერიკის რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგებისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. იგი იყო აგრეთვე იმათ შორის, ვინც ყველა ღონისძიებით ცდილობდა შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღებინებინა ნატოსათვის.

შემდეგ ჰ. შმიდტმა გამოთქვა რწმენა, რომ საფრანგეთმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მიაღწიეს ისეთ მდგომარეობას, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ერთგვარი თვითდამკვიდრება ამერიკის ახალი პოლიტიკის ან საერთოდ ამერიკის პოლიტიკის მიმართ“.

როგორც კანცლერმა განაცხადა მისთვის და პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დესტენისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მშვიდრო თანამშრომლობა“ ძირითადი ელემენტია, ურომლისოდაც წარმატებით ვერ განვახორციელებდით ჩვენს საგარეო პოლიტიკას“. „ეს არ არის მიმართული ამერიკის წინააღმდეგ, ეს არ არის მიმართული სხვა ვინმეს წინააღმდეგ, კერძოდ ვინმეს წინააღმდეგ ევროპაში, საბჭოთა კავშირისა თუ აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ“, — თქვა მან.

□ კრესპ ძღვანტურებს

პენტაგონის საამებლად

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ შეიმუშავა ამერიკელ მშრომელთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ ფართო შეტევის „პროგრამა“ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სამსებლად.

როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იუწყება, მთავრობის მიერ კონგრესში წარსადგენად მომზადებული საბიუჯეტო დოკუმენტები ითვალისწინებს მეტი წილი ისეთი საშინაო სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებათა მკვეთრ შემცირებას, როგორიც არის სამედიცინო მომსახურება და განათლება, მცირეშემოსავლიან ოჯახთა ბავშვებისა და ინვალიდების დახმარება, სოციალური უზრუნველყოფა, უმუშევრობის კომპენსაცია, ლტა-კათათვის სასურსათო ტალონების მიცემა.

სოციალური პროგრამებისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირების საერთო თანხა, „ვაშინგტონ პოსტის“ მონაცემებით, 26,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. ნიშანდობლივია, რომ რესპუბლიკური მთავრობა აპირებს დაახლოებით ამდენივე თანხით გაზარდოს პენტაგონის ბიუჯეტი.

იტალია

თავს დაესხნენ კარაბინერებს

რომი. იტალიაში ახალი სისხლიანი დანაშაული ჩაიდინეს ნეოფაშისტებმა. პადუაში მემარჯვენე ექსტრემისტებმა ანონიმური დარეკვით ქალაქის ერთ-ერთ რაიონში სპატრულო მანქანა გამოიძახეს, ჩაუსაფრდნენ და კარაბინერებს ტყვია დაუშინეს.

პოლიციამ შეძლო ერთერთი ტერორისტის დაკავება. იგი აღმოჩნდა ვ. ფიორავანტი. ნეოფაშისტური დაჯგუფების („პეიარაღებული რევოლუციური უჯრედები“) „აქტივისტი“, რომელსაც დიდი ხანი ეძებდნენ.

დაპატიმრებული ტერორისტი მონაწილეობდა აგრეთვე რესპუბლიკის პროკურორის თანამშრომლის მ. ამატოს მკვლელობაში და სხვა ბოროტმოქმედებაში.

შემთხვევები

აფეთქება...

პარიზი. ლიონიდან სამხრეთით მდებარე ატომურ ელექტროსადგურში აფეთქება მოხდა. სპეციალისტთა აზრით, მას ხელოვნური შედეგები არ მოჰყოლია. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, აფეთქდა დამხმარე ნაგებობაში არსებული ჭაბიური ნივთიერება.

პირველმა სინჯმა ცხადყო, რომ აფეთქების შედეგად რადიაქტიური ნივთიერებების გადინება არ მომხდარა. სადგური განაგრძობს მუშაობას. იკვლევენ აფეთქების მიზეზებს.

ტრაგედია სტადიონზე

ათენი. ტრაგიკულად დამთავრდა მაყურებელთათვის გასულ კვირას საბერძნეთის დედაქალაქის სტადიონზე გამართული მატჩი ფეხბურთში,

თამაშის დამთავრების შედეგ ერთ-ერთ სექტორში დაკეტილი აღმოჩდა კარები. გამოსვლისას გულშემატკივართა შორის ატყდა პანიკა. ზედაზორის შედეგად, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 20 და დაშავდა 50 მაყურებელი.

რაოგორ ავმაღლდით, რაოგორ ვიზარდეთ!

● **მეათე ხუთწლედში ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგებმა საკავშირო და მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ფიზიკის, მედიცინის, გეოგრაფიისა და წარმოების ავტომატიზაციის დარგის რამდენიმე ნაშრომმა ლენინური, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიები დაიმსახურა.**

● **24 ათასზე მეტი ღონისძიება განხორციელდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაქმნელად და დასანერგად, რაც თითქმის ერთი მესამედით მეტია მეცხრე ხუთწლედთან შედარებით.**

● **სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი თითქმის ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში, დამატებითმა მოგებამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე 120 მილიონ მანეთი, ანუ 1,5-ჯერ მეტი შეადგინა, ვიდრე წინა ხუთწლედში.**

● **მწყობრში ჩადგა 841 სკოლა 168 ათასი მოსწავლისათვის, 150 საბავშვო ბაღი.**

● **რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა 135 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა მოამზადეს.**

ყაბაზი
ქართული ფილატელია
ყაბაზი ყაბაზი
ყაბაზი

წინ გადადგმული ნაბიჯი

ძლებელია გადაღლას მივაწეროთ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადელი ი. სოკოლოვი და კორეელი სპორტსმენი. გამარჯვება სოკოლოვმა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზიც მას გადაეცა. მესამე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ სსრ კავშირის ნაკრების წევრს ტლეცერასა და იაპონელ ხ. ხამადას.

საქართველოს სპორტსმენებმა წელსვანდელ ტურნირში 3 პირველი და 4 მეორე ადგილები დაიკავეს, რაც შარშანდელთან შეღარებით წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

დ. თორდია.



სურათებზე: ქვემოსუბუქ და მსუბუქ წონებში გამარჯვებულნი — ვ. კალენტიევი და უ. მარაევი. ვ. გენგიურის ფოტოები.

ქართველ ფალავანთა წარმატება



ვახტანგ გლაგიძე.



მიხეილ სალაძე.

კვირას სპორტის სასახლეში დასრულდა თბილისის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. ამ დღეს ასპარეზობდნენ აბსოლუტური და 60 კგ წონის ათლეტები.

ორივე წონაში ჩვენი რესპუბლიკის 6 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

აბსოლუტურ კატეგორიაში მოასპარეზეთ დილით 4-4 შეხვედრის გამართვა მოუხდათ. ყველა ორთაბრძოლა შესანიშნავად წარმართა და ნახევარფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა ქვემძიმეწონოსანმა მ. ბერუაშვილმა. ახალგაზრდა ძიუდოისტმა მეოთხე შეხვედრაში დაამარცხა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი უნგრელი ი. ვარგა, რომელიც 123 კგ-ს იწონის. ძალზე დაძაბული გამოდგა ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა სსრ კავშირის ნაკრების წევრს ხ. კუცვაევსა და ქართველ სპორტსმენს შორის. მალხაზმა აქაც იმარჯვა და თუმცა შემდეგ, ფინალში მარცხი იწვნია ვ. გურინთან, მისი ჭიდაობით როგორც მაყურებლები, ისე საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელები კმაყოფილნი არიან.

60 კგ წონაში სამი ქართველი მოჭიდავედან ორმა პირველივე წრეში იწვნია მარცხი. მესამე — დავით ფიცხელაური — ერთადერთი იყო 33 სპორტსმენს შორის, რომელსაც დილის ასპარეზობაში 4 შეხვედრის ჩატარება მოუხდა. ფიცხელაურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს ოთხივე ორთაბრძოლა, მიუხედავად მტკივნეთა სიძლიერისა, თავის სასარგებლოდ დაასრულა. ნახევარფინალურ ასპარეზობაში სპორტსმენი შედარებით დაღლილი გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, ზედიზედ ორი მარცხი კო ხენთან (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) და ჰ. ტლეცერთან სავსებით შესაძლებელია გადაღლას მივაწეროთ.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადელი ი. სოკოლოვი და კორეელი სპორტსმენი. გამარჯვება სოკოლოვმა და თბილისის საერთაშორისო ტურნირის მთავარი პრიზიც მას გადაეცა. მესამე საპრიზო ადგილები წილად ხვდათ სსრ კავშირის ნაკრების წევრს ტლეცერასა და იაპონელ ხ. ხამადას.

საქართველოს სპორტსმენებმა წელსვანდელ ტურნირში 3 პირველი და 4 მეორე ადგილები დაიკავეს, რაც შარშანდელთან შედარებით წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ.

დ. თორდია.

როსტოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1981 წლის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ეს პირველობა საიუბილეო, 50-ე გახლდათ და მასში ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, ავრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 250-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა.

ჩვენ უკვე გეუწყებოდით, რომ 100 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელი და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა თბილისელმა მიხეილ სალაძემ. ასპარეზობის უკანასკნელ დღეს კიდევ ერთი **შესანიშნავი გამარჯვება იზეიმა და პირველი ადგილი დაისაკუთრა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ გლაგიძემ (52).**

ქართველ სპორტსმენთაგან წარმატებით იასპარეზეს, აგრეთვე, **შ. ჭორჩილაძემ** (მძიმე წონა) — მეორე ადგილი და **თ. ყაზარაშვილმა** (48) — მესამე ადგილი.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ: ტაქვანტელი **ვ. ანიკინი** (48), მოსკოველი **ფ. ფუსტაფინი** (62), კიროველი **ვ. გალკინი** (74), მინსკელი **ა. დუბროვსკი** (90), მოსკოველი **ე. არტიუხინი** (100 კგ-ზე ზევით) და სამი როსტოველი — **ი. როსტოვცევი** (57), **ბ. კრამარენკო** (68) და **ა. ყანანმოვი** (82).

— წლევანდელი ჩემპიონატი,— განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. საპუნოვმა, — საინტერესოა იმით, რომ იგი ახალი ოლიმპიური ციკლის დასაწყისი გახლავთ. ეს კი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენებს კარგ პერსპექტივებს უსახავს. სხვათა შორის, ისინი წარმატებით გამოვიდნენ მოსკოვის ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულებთან: ოლიმპიადა-80-ის ხუთი ჩემპიონიდან მხოლოდ ერთი, ვახტანგ ბლაგიძე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ტურნირი გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დამტკიცებული ახალი წესებით — 9 წუთის ნაცვლად თითოეული შეხვედრისთვის ახლა მხოლოდ 6 წუთი იყო დათმობილი, რამაც არსებითად გაზარდა ორთაბრძოლების სიმძაფრე და დინამიურობა. როსტოვის ტურნირის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ნაკრები მოემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 8-11 აპრილს გაიმართება შვეიცის ქალაქ გეტებორგში.

საბჭოური ცხოვრების ფესი შვიდი ძმა

ნარკვევი

ომარე ილია და საპატიო რკინიგზელი კირილე ლაბაძეები.

კირილემ პირველი გიორგი მიიყვანა დეპოში. შემდეგ მომდევნო ძმები მიჰყვნენ. წარმოებაში ისინი გულთბილად მიიღეს და მზრუნველობას არ აკლებდნენ. ამით წაბალისებულებმა გადაწყვიტეს გულმოდგინება გამოეჩინათ და მალე გამხდარიყვნენ მინდობილი საქმის ოსტატები.

თავდადებულ შრომასთან ერთად მვიდივე ძმამ თანამიმდევრულად მიიღო საშუალო განათლება, გაიარეს სხვადასხვა კურსები და სპეციალისტები გახდნენ. ამასთან სამხედრო სამსახურიც კეთილსინდისიერად მოიხადეს. ამჟამად გიორგი მატარებლების შემდგენელია, ოთარი— ოპერატორად მუშაობდა, ალექსანდრე — დურგალია, თენგიზი — ელმავლის მემანქანის თანაშემწე, ბონდო და მიხეილი — სადგურის ოპერატორები, ხოლო ანზორი — თბომეურნეობის ემსახურება. თენგიზი და მიხეილი კომენისტური შრომის დამკვრელები არიან. გარდა ამისა, თენგიზი წლების მანძილზე ამიერკავკასიის რკინიგზის პარტიული კომიტეტის წევრი იყო. ყველანი გარკვეულ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევიან. მათი შრომითი და სხვა წარჩინების სიგელები და საჩუქრები ერთად რომ შეგროვდეს, სამუზეუმოდ შემონახულ მამისეულ ქოხს აავსებს.

ამბობენ, ლაბაძეებს ოჭროს მარჯვენა აქვთო. სხვადასხვა პროფესიას ფლობენ. ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან საქმეში, რომ მათ ნახელავს ხინჯი არ გაჰყვეს. საერთოდ არავითარ საქმიანობას არ თაკილობენ. ამიტომაც არც ცხოვრება უმძიმთ.

გადის წლები. ლაბაძეების ოჯახი მრავლდება და ახალ-ახალი შტო გამოაქვს. მხოლოდ უცვლელი რჩება და თაობიდან თაობას გადაეცემა შრომითი, ზნეობრივი და მორალური ტრადიციები. შვიდივე ძმასთან ერთად მსახურობენ მათი მეუღლეები; მუშაობენ, სწავლობენ ან სამხედრო სამსახურს იხდიან მათი შვილები და სიძეები. რა პროფესია გნდა, რომ მათს ოჯახებში არ იცოდნენ. ჯერ კიდევ ხაშურში ვიყავი, როცა ალექსანდრე ლაბაძის ოჯახმა № ნაწილის მეთაურისაგან მიიღო მადლობის წერილი შესანიშნავი შვილის —თამაზის აღზრდისათვის.

ლაბაძეები მომრავლდნენ, მაგრამ კვლავინდებურად ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ, ჭირსა და ლხინს ერთად იზიარებენ. ერთის სტუმარს ყველანი მასპინძლობენ. ამ სამაგალითო ერთობლიობას ადუღაბებს ისიც, რომ მათ მარჯვნივ და მარცხნივაც ლაბაძეები — ბიძაშვილები და სხვა ნათესავები სახლობენ.

ძმები გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს. მისაბაძია მათი სიამტკბილობა და კეთილმოსურნეობა, ნამდვილი ძმური ურთიერთობა.

სამოცდათხუთმეტ წელიწადს მიღწეული მარგალიტა ისევ ყველას თავდადებული მზრუნველია.

— გაჭირვებული ქვრივ-ობოლის მიუხედავად, —ამბობს მარგალიტა, — ბედნიერი დედა ვარ. შვილები კეთილი და მოსიყვარულენი გამომივიდნენ. თვალში რომ ჩავუვარდე, ხელს არ ამოსვამენ. ჯალაბობაც კარგი შეხვდათ— ყველას ვუყვარვარ და მზრუნველობას არ მაკლებენ. თუ მე ერთი გულის მესაიდუმლე ქალიშვილი მყნატრებოდა, ესენი გოგოებით აივსნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ როცა ბიჭები ბოლოს დაჭორწინებული თენგიზის სახლს აშენებდნენ, მამისეული ქოხის ჭერში შენახული უღელი ამოიღეს და იქ გამოიყენეს—„იქნება ვაჟიანობის თილისმა ჰქონდესო“.

ყოველ დილას, გაგარინის ქუჩის მეშვიდე ჩიხიდან ჟივილ-ხივილით გამოდიან საბუსაზე, სკოლაში და სხვა საქმეზე მიმავალი ლაბაძეები. ბებია მარგალიტა კი თავის „სამსახურს“ იწყებს: სათითაოდ ჩამოუვლის შვილების ოჯახებს, შინ დარჩენილებს დაარიგებს, ჰატარებს მიუალერსებს, დაპურებს და მშობლებს დაბრუნებამდე თვალყურს ადევნებს, რომ პატარები ქუჩაში არ გაეპარონ და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს.

პატიოსანი შრომის, დედაშვილური, ძმური სიყვარულის მადლი ნუ მოკლებოდეს ლაბაძეებს. დაე იმრავლონ და ახსოვდეთ პოეტის სიტყვები:

ერთი ძმა სიცოცხლეს ნიშნავს,
შვიდი ძმა უკვდავებასა...

გ. იარალოვი.

ჭეშმარიტი მეცნიერი

კონსტანტინე წერეთლის დაბადების 80-ე წლისთავი



ცნობილ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს — სემიტოლოგს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ კონსტანტინე წერეთელს სამოცი წელი შეუსრულდა. ამ თარიღს ემთხვევა მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35-ე წლისთავიც. ასპირანტურაში ყოფნისას, სადაც იგი დასპეციალებას განაგრძობდა გამოჩენილი საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნის აკადემიკოს გ. წერეთლის ხელმძღვანელობით, კ. წერეთელი დაინტერესდა ებრაულ-არამეული ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის პრობლემებით. ეს ინტერესი, ერთი მხრივ განპირობებული იყო ქართული კულტურის ისტორიისა და ქართულ-აღ მ ო ს ა ვ ლ უ რ ი კულტურული კონტაქტების აქტუალური საკითხებით, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე არამეული დიალექტების კვლევით, რომელიც, შეიძლება ითქვას, იმ დროს ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო საერთოდ.

კონსტანტინე წერეთელმა თავისი სამეცნიერო საქმიანობა თანამდროვე არამეული დიალექტების შესწავლით დაიწყო. ეს პრობლემა გახდა მისთვის ძირითადი კვლევის სფერო. იმ ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე, რაც მეცნიერი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, მან შეისწავლა ყველა თანამედროვე არამეული დიალექტი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა გავრცელებული, შეკრიბა მასალები სომხეთში გავრცელებული არამეული დიალექტებისა და, ბოლოს, შეძლო გამოეკვლია არამეული დიალექტები, რომლებიც გავრცელებული იყო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე. თანამედროვე ასურულ დიალექტებს კონსტანტინე წერეთელმა 100-ზედ ნაშრომი უძღვნა, მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მასალები არამეული დიალექტოლოგიისათვის“, „ნარკვევები ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა“. ეს უკანასკნელი ფუნდამენტური ხასიათის გამოკვლევა, რომელსაც, ფაქტობრივი მასალის სიმდიდრისა და ანალიზის სიღრმის თვალსაზრისით, ძნელად თუ მოეძებნება პარალელი არამეულ დიალექტოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ ეს ნაშრომი გერმანულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა გამოჩენილმა გერმანელმა ორიენტალისტმა ფრიდრიხ ალტჰაიმმა.

1968 წელს კონსტანტინე წერეთელმა გამოსცა „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“. სინტეტურსა ის ფაქტი, რომ ანალოგიური ხასიათის ნაშრომი საუკუნეზე ადრე გამოაქვეყნა გამოჩენილმა გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ თეოდორ ხოლდეკემ, მას შემდეგ ამგვარი ხასიათის ნაშრომი აღარ დაბეჭდილა. კ. წერეთელმა ახლადმოპოვებული მასალების საფუძველზე შექმნა ორიგინალური გამოკვლევა, რომელშიც სრულყოფილად არის ასახული თანამედროვე ასურული ენის სტრუქტურა. აღნიშნული ნაშრომის საფუძველზე მკვლევარმა რუსულ ენაზე დაწერა მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა „თანამედროვე ასურული ენა“. ეს მონოგრაფია გამოქვეყნდა მოსკოვში, სერიაში „ხალხის და აფრიკის ენები“. გამოქვეყნებისთანავე ნაშრომმა დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც, იგი ითარგმნა და დაისტამბა გერმანულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე.

ცხოველ ინტერესს იწვევს კონსტანტინე წერეთლის მონოგრაფია „სირიული ენა“. ეს ნაშრომიც მოსკოვში გამოქვეყნდა, იმავე სერიაში. აღსანიშნავია, რომ სამაშულო აღმოსავლეთმცოდნეობაში ამგვარი ნაშრომი პირველად ქვეყნდება. ამ გამოკვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. როგორც ცნობილია, ქართული კულტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ადრე საშუალო საუკუნეებში არსებული ქართულ-სირიული კონტაქტები, რომლებიც ხორციელდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებში, სადაც სირიელები და ქართველები ერთად მოღვაწეობდნენ. ამ კონტაქტების შედეგია სირიული ლიტერატურის ნიმუშების ძველი ქართული თარგმანები, რომელთა შესწავლასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის. ამ ნაშრომისათვის ავტორს ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

თავისი მრავალწლიანი მუშაობა არამეისტიკაში კონსტანტინე წერეთელმა ერთგვარად შეაჯამა სპეციალურ გამოკვლევაში „არამეული ენა“, რომელიც მალე გამოქვეყნდება. უკანასკნელ ხანებში მკლევარი სათანადო ყურადღებას უთმობს სემიტური ენათა შედარებითი ფონეტიკის საკითხებს.

ოცდათხუთმეტ წელზე მეტია, რაც კონსტანტინე წერეთელი ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც მან გრძელი გზა განვლო ასისტენტობიდან სემიტოლოგიის კათედრის ხელმძღვანელამდე. ფაკულტეტზე იგი კითხულობს რიგ წამყვან სემიტოლოგიურ კურსებს ეგრაისტიკასა და არაბისტიკაში, სემიტურ შედარებით ენათმეცნიერებაში. განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს მკვლევარი სტუდენტთა უზრუნველყოფას სათანადო სახელმძღვანელოებით. მან გამოაქვეყნა თანამედროვე ასურული ენის ქრესტომათია“ — ლექსიკონთურთ (I გამოცემა — 1958 წ., II — 1980 წ.). ამ ქრესტომათიას წარმატებით იყენებენ საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის უნივერსიტეტებში. ამავე რიგის ნაშრომებს განეკუთვნება მისივე „ებრაული ენის სახელისა და ზმნის პარადიგმები“ და სხვა.

კონსტანტინე წერეთლის სამეცნიერო შრომები დიდ ინტერესს იწვევს სპეციალისტთა შორის. ამაზე მეტყველებს ის მრავალრიცხოვანი გამოძახილები და რეცენზიები, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთშიც.

დიდ დროს ანდომებს კონსტანტინე წერეთელი სამეცნიერო-ორგანიზაციულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრას და სემიტოლოგიის განყოფილებას აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. არის აქტიური მონაწილე და ორგანიზატორი სემიტოლოგთა საკავშირო კონფერენციებისა, სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, ეწევა საბჭოთა ორიენტალისტიკის მიღწევათა აქტიურ პროპაგანდას უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში. მკვლევარი არჩეულია რამდენიმე უცხოური აღმოსავლეთმცოდნეთა საზოგადოების საპატიო და ნამდვილ წევრად.

მეცნიერი ეწევა აგრეთვე მრავალმხრივ საზოგადოებრივ მუშაობას. იგი არის არაბეთ-ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის წევრი.

მკვლევარს მრავალი გეგმა აქვს დასახული და შესაშური ენერგიით იღწვის მათ განსახორციელებლად.

თ. გამყრელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
ვლ. ახვლედიანი,
პროფესორი.

სიჩქარეს არეგულირებს აჭტომატები



თბილისის მეტროს მატარებლების მოძრაობის სრული უსაფრთხოების გარანტიას იძლევა აქ დანერგილი ცისფერი ეკსპრესების მოძრაობის სიჩქარის ავტომატური რეგულირების მოწყობილობა. ეს ტექნიკური სიახლე ხელს შეუწყობს არსებითად შემცირდეს მათი მოძრაობის ინტერვალები ხაზზე. „სამგორის“, „ისნის“, „26 კომისრის“ და „ლენინის მოედნის“ მეტროს სადგურებში ახალი სისტემის მოწყობილობა უკვე დამთავრებულია. ელექტროიმპულსების დახმარებით სიჩქარის ავტომატური რეგულირების მოწყობილობა სიგნალებს გზავნის რელსებზე. მემანქანის კაბინაში დადგმული სისტემა იღებს ამ ინფორმაციას და დაშვებული სიჩქარის გადიდების შემთხვევაში შესაფერის „კომანდას“ გასცემს.

თუ მემანქანე ყურადღებას არ მიაქცევს სიგნალს, დამუხრუჭება ავტომატურად ხდება. ნავარაუდევია, რომ წლის ბოლომდე სიჩქარის ავტომატური რეგულირების სისტემა დამონტაჟდება „სამგორი-„დიდუბე“ ხაზის დანარჩენ სადგურებში.

იძულება მუზეუმი

შარშან თბილისის სპორტის სასახლეს ეწვია მილიონი კაცი — ეს მაყურებელთა რეკორდული რაოდენობაა.

შარშანდელი წელი ძალზე ნაყოფიერი იყო სპორტის სასახლისათვის. რესპუბლიკის ერთ-ერთმა საუკეთესო ბაზამ თავისი წვლილი შეიტანა მოსკოვის ოლიმპიადაზე, საბჭოთა სპორტსმენების წარმატებულ გამოსვლაში. აქ გაიმართა მთელი რიგი უდიდესი საერთაშორისო და საკავშირო ტურნირები.

მაგრამ, გარდა ამ დიდი ასპარეზობებისა, სპორტის სასახლე თავისებური საწვრთნელი ბაზაც არის ხელბურთელების, კალათბურთელების და მხატვრული ტანმოვარჯიშეებისათვის. აქვე, სპორტულ სექციებში, ყოველდღე დადიან დაახლოებით 600 მოზარდი, მათ შორის თბილისის № 13 პროფესიული სასწავლებლის მოსწავლეები, რომლებსაც შეფობას უწევს სასახლის კოლექტივი.

სასახლის მუშაკთა კოლექტივმა გადაწყვიტა აქ შექმნას საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმი, რისთვისაც უკვე შეგროვილია დიდძალი სპორტული ნადავლი.

მაყურებელმა ნახა პრემიერა

„ძველი სახლი“ — ასე ეწოდება ახალ სპექტაკლს, რომელიც ა. კაზანცევის პიესის მიხედვით დაიდგა თბილისის ა. ხ. გრიბოედოვის სახელობის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ყორდანიამ, რეჟისორია გ. ჩერქეზიშვილი, სცენოგრაფია ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს გ. გუნიას, მუსიკალური გაფორმება — რ. გვენეთაძეს.

თეატრის ახალ სპექტაკლში, რომელიც ასახავს ერთი სახლის მცხოვრებთა ბედ-იღბალს, მათს სიხარულსა და სიწუხარს, მონაწილეობენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. სომინა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ლ. კრილოვა, მ. იოფე, ბ. კაზნეცი, ე. კილოსანიძე, არტისტები ი. ფილევი, ვ. სმოტროვი და სხვები.

სურათზე: სპექტაკლ „ძველი სახლის“ სცენა. სანა გლებოვა — მსახიობი ი. პოდკოპაევა, ოლეგ კრილოვი — მსახიობი ი. ფილიევი.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„საბჭოთა ხელოვნება“ № 1

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ პირველი ნომერი.

რუბრიკით „სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად“ ჟურნალში გამოქვეყნებულია მოწონებული „ახალი წინსვლის საწინდარი“.

ქართული ხელოვნების მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის (ბარი, ლეჩე — იტალია) მუშაობას აცნობს მკითხველებს კიტი მაჩაბელი, ხოლო ქართული თეატრის დღეს ეძღვნება ირაკლი გოგოლაურის წერილი „დუშეთის სახალხო თეატრის მე-100 წლისთავი“.

ჟურნალში გაეცნობით აგრეთვე თ. ონიაშვილის, გ. თევზაძის, ე. მიხალჩენკოვას და სხვათა საინტერესო მასალებს.

კომენიტატი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის კრონპაგანდის — 99-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ჯგუფის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მუშკორების ჯგუფის — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 22-66; ტყიბული — 25-82.

კომუნისტი ინდექსი 66434 უე 02063

ტელევიზია

10 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრცედია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.00 — „მოამბე“. საინფორმაციო პროგრამა, 10.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მისამართი იგივეა — სოფელი“, 10.55 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი — „შანდაური“. I ნაწილი, 12.30 — მოსწავლეთათვის — „საპოვნელას ჰპანეი“ გამეორებით, 13.05 — ახალგაზრდებისათვის,— ქართული ენა, 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — განცხადებები, 17.30 — შვეიცარიელთა ინგლისური ენა, 18.00 — „ამაგდარი“ — თამარ ლოლაშვილი (გამეორებით), 18.30 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ — ბელორუსიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „სიაბრი“, 19.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“ — ლენინგრადის „სპარტაკი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან, 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — „მოამბე“, 21.10 — „მოდით, ერთად ვიმღეროთ!“, 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრცედია“. (მ.), 22.35 — „სცენის ოსტატები“ — გიორგი შავგულიძე, 23.50 — „მოამბე“.

მეორე პროგრამით: 18.25 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის ფიზიკა, 18.55 — განცხადებები, 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.10 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა.

თეატრი

10 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ოტელო** (პირველი აბონ. პირველი წყარ.): რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **პრეზენციული ამბავი**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მე, ცოლი და სიდედრი**; მეგების თეატრი — **ქართული ნოველების საღამო.**